როლანდ შიმელპფენიგი

ქალი წარსულიდან



მოქმედი პირნი:

ფრანკი: **40 წლის მამაკაცი**
კლაუდია: **მისი მეუღლე**
რომი ფოგტლენდერი
ანდი: **ფრანკისა და კლაუდიას ვაჟი**
თინა: **ანდის მეგობარი**

მოქმედება ხდება სხვადასხვა დროში, რის შესახებაც მაყურებელს სცენის დაწყების წინ ციტირების, გამოცხადების ან სხვა ხერხით უნდა ეცნობოს.

ძველებური ბინის უზარმაზარი შემოსასვლელი და ოთხი გამავალი კარი: ბინაში შესასვლელი ოთხფრთიანი კარი, სააბაზანო ოთახის კარი, ბიჭის ოთახში შესასვლელი კარი და მშობლების საწოლი ოთახის კარი.

შესაბამისად კორიდორი ან კარი მისაღებ ოთახსა და სამზარეულოში. დიდი სივრცეა. შემოსასვლელში ბევრი შეფუთული, გასაგზავნად გამზადებული ყუთი აწყვია – არც ავეჯი დგას და არც სურათები კიდია.

1.

ფრანკი მისაღები ოთახის დახურულ კართან დგას, კლაუდია, მისი ცოლი აბაზანიდან ხალათითა და თავზე მოხვეული პირსახოცით გამოდის.

კლაუდია: ვის ესაუბრები?

ფრანკი: მეე?

კლაუდია: ჰო, შენ, ვის ესაუბრები?

ფრანკი: რრა ვვიცი – არავის. კი მაგრამ ვის უნდა ველაპარაკო -

კლაუდია: თითქოსდა ვიღაცის ხმა მომესმა – ამ წუთს ვიღაცას ხომ ესაუბრებოდი.

ფრანკი: მეე არა, რატომ მეკითხები?

კლაუდია: იმიტომ, რომ ხმა გავიგონე.

ფრანკი: აჰა, ხმები –

კლაუდია: დიახ ხმები, ხმები –

ფრანკი: ჰო, მაგრამ აბაზანაში არ იყავი –

კლაუდია: დიახ –

ფრანკი: ხმები აბაზანაში ისმის, მილებიდან, ან სხვა სართულიდან –

კლაუდია: არა – მე ხმები შემოსასვლელში გავიგონე

ფრანკი: აქ – ხმები –

კლაუდია: დიახ აქ, შემოსასვლელში
(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: აქ არავინაა.

(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: მაგრამ აქ ვიღაც იყო

(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: აქ არავინაა

კლაუდია აღებს ბინაში შემავალ კარს და კართან რომი ფოგტლენდერი დგას. მას მანტო აცვია.

(პაუზა)

კლაუდია: ეს ვინ არის?

(სიჩუმე ჩამოვარდა)

ვინაა?

(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: ეს –

(ხანმოკლე პაუზა)

ეს რომი ფოგტლენდერია –

(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფოგტლენდერი, რომელიც მე 24 წლის წინ ვნახე.

(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: რატომ არ მითხარი ეს ქალი აქ კართან რომ იდგა?

(პაუზა)

რატომ არ მითხარი?

(ხანმოკლე პაუზა)

რატომ მატყუებ -

(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: მისმა გამოჩენამ მეც ძალიან გამაკვირვა.

(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: ეს კაცი, 24 წლის წინ ჩემი დიდი სიყვარული იყო.

(ხანმოკლე პაუზა)

ჩვენ მაშინ შესანიშნავი წყვილი ვიყავით.

(ხანმოკლე პაუზა)

ეს დღესაც ასეა.

(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: ბატონო?

რომი ფ: ის და მე – ჩვენ მაშინ არაჩვეულებრივი წყვილი ვიყავით, და ეს დღესაც ასეა.

(კლაუდია ქმარს სახეში სილას გააწნავს, რომის კი ცხვირწინ მიუკეტავს კარს).

2.

ათი წუთით ადრე. ცარიელი ჰოლი ბინაში. აბაზანიდან შხაპის ხმა ისმის. ზარია. ფრანკი გამოჩნდება და ზარის მოპასუხესთან მიდის.

ფრანკი: *დიახ?*
(სიჩუმე)
დიახ, გისმენთ
(სიჩუმე)
დიახ?
(ის შემოტრიალდება, კვლავ ზარია, უკან ბრუნდება, ზარის მოპასუხის ყურმილს იღებს).
დიახ? ვინ არის?
(კაკუნი მეორდება).
დიახ?
(სიჩუმეა)
უცბად აღებს კარს. კარის წინ მანტოში გამოწყობილი ქალი დგას.
დიახ?
ქალი დუმს.
დიახ, გისმენთ.
კვლავ დუმილია.
გესმით ჩემი –

რომი ფ: მე შენ გეძებდი – ადვილი არ იყო შენი პოვნა –

ფრანკი: მართლა? – შესაძლებელია
(ის მიკეტავს კარს, მაგრამ იქვე გაშეშებული ჩერდება. პაუზა.
კაკუნი. ის კვლავ აღებს კარს)
მისმინეთ გეთაყვა –
(აბაზანაში შხაპის ხმა წყდება.)

რომი ფ: შენ – შენ ვერ მიცანი ჰო –

ფრანკი: გიცანი? – იცინის – ვერა, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვერა – *(იგი კარის დაკეტვას ცდილობს.)*

რომი ფ: მე რომი ვარ – რომი ფოგტლენდერი
(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: რომი ფოგტლენდერი –

რომი ფ: შენ კი ვერ მცნობ.

ფრანკი: რომი – რომი ფოგტლენდერი ...

რომი ფ: იცი რა –

ფრანკი: რა –

რომი ფ: ჩვენ ერთ ზაფხულს დავახლოვდით –

ფრანკი: რომი ფოგტლენდერი ...

რომი ფ: 24 წლის წინ.

ფრანკი: რომი ... მაშინ
(ხანმოკლე პაუზა)
მაშინ ხომ 17 წლისანი ვიყავით.

რომი ფ: 17 დიახ, მართალი ხარ, მე ვიყავი 17 წლის, შენ ოცის და მაშინ შემომფიცე, რომ ყოველთვის გეყვარებოდი
(ფრანკს ჩაეცინა)

ფრანკი: ჰოო –

რომი ფ: შენ იცინი –
მეც შემოგფიცე, რომ მეყვარებოდი.
(ხანმოკლე პაუზა)
გახსოვს?

ფრანკი: რა ვიცი – შეიძლება.

რომი ფ: აი მოვედი, რომ ეს დანაპირები შევასრულო.
(პაუზა)

ფრანკი: რაა?

რომი ფ: მე აქ ვარ, რომ ეს დაპირება შევასრულო და შენ შენი დაპირება შეგახსენო –

ფრანკი: რა დაპირება –

რომი ფ: ის რომ – მე ყოველთვის გეყვარები, ასე არ მითხარი?!
(პაუზა)

ფრანკი: ჰო, მაგრამ – მაგრამ
(ხანმოკლე პაუზა)
მაშინ ცხრამეტის ვიყავი.

რომი ფ: ოცის

ფრანკი: ცხრამეტის თუ ოცის რა დიდი განსხვავებაა –
(ხანმოკლე პაუზა)
აქ რა გინდა?
(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: შენ მინდიხარ – სხვა რა უნდა მინდოდეს.
მოვედი რომ გაგახსენო.

ფრანკი: გამახსენო -

რომი ფ: რომ ჩვენ სამუდამოდ გვეყვარებოდა ერთმანეთი – შენ

არ ამბობდი?!

(ფრანკი ჩაფიქრდა. აბაზანის კარის გაღების ხმა გაისმა.

ფრანკი რომის კარს მიუკეტავს. გაჩერდება. კლაუდია აბაზანიდან ხალათით და თავზე მოხვეული პირსახოცით გამოდის.)

კლაუდია: ვის ესაუბრები?

ფრანკი: მე?

კლაუდია: ჰო შენ, ვის ესაუბრები?

ფრანკი: რრა ვვიცი – არავის, კი მაგრამ ვის უნდა ვესაუბრო –

კლაუდია: თითქოსდა, ვილაცის ხმა მომესმა – ამ წუთს ვილაცას ხომ ესაუბრებოდი.

ფრანკი: მეე არა, რატომ მეკითხები?

კლაუდია: იმიტომ, რომ ხმა გავიგონე.

ფრანკი: აჰა ხმები –

კლაუდია: დიახ ხმები, ხმები –

ფრანკი: ჰო, მაგრამ აბაზანაში არ იყავი –

კლაუდია: დიახ –

ფრანკი: ხმები აბაზანაში ისმის მილებიდან, ან სხვა სართულიდან –

კლაუდია: არა – მე ხმები შემოსასვლელში გავიგონე

ფრანკი: აქ – ხმები –

კლაუდია: დიახ აქ, შემოსასვლელში

(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: აქ არავინაა.

(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: მაგრამ აქ ვილაც იყო

(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: აქ არავინაა

კლაუდია აღებს ბინაში შემავალ კარს და კართან რომი ფოგტლენდერი დგას. მას მანტო აცვია.

(პაუზა)

კლაუდია: ეს ვინ არის?

(სიჩუმე ჩამოვარდა)

ვინაა?

(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: ეს –

(ხანმოკლე პაუზა)
ეს რომი ფოგტლენდერია –
(ხანმოკლე პაუზა)
რომი ფოგტლენდერი, რომელიც მე 24 წლის წინ ვნახე.
(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: რატომ არ მითხარი ეს ქალი აქ კართან რომ იდგა?
(პაუზა)
რატომ არ მითხარი?
(ხანმოკლე პაუზა)
რატომ მატყუებ -
(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: მისმა გამოჩენამ მეც ძალიან გამაკვირვა.
(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: ეს კაცი, 24 წლის წინ ჩემი დიდი სიყვარული იყო.
(ხანმოკლე პაუზა)
ჩვენ მაშინ შესანიშნავი წყვილი ვიყავით.
(ხანმოკლე პაუზა)
ეს დღესაც ასეა.
(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: ბატონო?

რომი ფ: ის და მე – ჩვენ მაშინ არაჩვეულებრივი წყვილი ვიყავით, და ეს დღესაც ასეა *(კლაუდია ქმარს სახეში სილას გააწნავს, რომის კი ცხვირწინ მიუკეტავს კარს).*

3.

(სახლის წინ რაღაც დროის შემდეგ)

თინა: ანდი და მე, თბილი საღამოა, ჩვენთვის უკანასკნელი – შემოდგომის მზე უკვე გადასულია და ჩვენ – არ გვინდა სახლში – ერთმანეთს ვერ ვცილდებით, არადა ხვალ მშობლებთან ერთად ის აქედან გადადის, ძალიან შორს. ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი. ის ჩემი პირველი კაცია, პირველი. არ მინდა რომ დამშორდეს. ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია – მისმა მშობლებმა ყველაფერი ჩაალაგეს, ეს ჩვენი ერთად ყოფნის უკანასკნელი წუთებია, ჩვენ ვსხედვართ სახლის წინ ფერდობზე და არც კი ვიცით, ერთმანეთს რა უნდა ვუთხრათ. მე

შენ მიყვარხარ, არასოდეს დაგივიწყებ, იქნებ დარჩე ჩემთან – ჩვენ ვსხედვართ ზევით ფერდობზე როგორც ყოველთვის, როგორც ხშირ შემთხვევაში და ვხედავთ მოკლე საწვიმარში გამოწყობილ ქალს, ის მიუახლოვდა სახლს და ზარი დარეკა. რა მოხდება?

არ ვიცი, წარმოდგენაც არ მაქვს.

მე მიჭირავს მისი ხელი, თუ მას - ჩემი რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ვსხედვართ აქ და არ ვიცით, რა იქნება შემდგომში.

4.

(რამდენიმე წუთით მანამდე. სახლში)

კლაუდია: რა?

რომი ფ: ის და მე. ჩვენ მაშინ შესანიშნავი წყვილი ვიყავით, და დღესაც ასეა.

(კლაუდია ფრანკს სილას გააწნავს, რომის კი ცხვირწინ მიუკეტავს კარს.)

(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: როგორ – როგორ გააკეთე ეს –

ფრანკი: რა, რა გავაკეთე? მე არაფერი დამიშავებია –

კლაუდია: შენ მე მომატყუე –

ფრანკი: რა უნდა მეთქვა, ის რომ ეს ქალი აქ ჩვენ კართან დგას?

კლაუდია: ეს ქალი – როგორც ჩანს შენი ახალგაზრდობის დიდი სიყვარულია –

ფრანკი: 24 წლის წინ –

კლაუდია: პირველად მესმის მის შესახებ –

ფრანკი: მე ის საერთოდ დავივიწყე, ერთი შეხედვით ვერც კი ვიცანი –

კლაუდია: მერე უთხარი მას ეს!

ფრანკი: რა –

კლაუდია: მაშინ უთხარი, რომ შენ ის დაგავიწყდა, რომ ვერც კი იცანი, იმის მაგივრად, რომ უთხრა დამდგარხარ და უსმენ, როგორ პირდაპირ მომახალა, რომ მას და შენ ერთმანეთი გიყვარდათ.

ფრანკი: რა ჩემი ბრალია –

კლაუდია: არა? აბა ვისი?

ფრანკი: მე რა შემიძლია გავაკეთო, თუ რამე დავაშავე, მხოლოდ ის, რომ კარი გავაღე

კლაუდია: და ის, რომ მომატყუე –

ფრანკი: რა მოგატყუე, უბრალოდ ვერ გითხარი –
(კლაუდიამ კარი გამოგლიჯა. რომი ფოგტლენდერი კვლავ იქ იდგა)

კლაუდია: *(ყვირის)* ახლა რა მოხდება?
(ხანმოკლე პაუზა)
ნეტა ახლა რა მოხდება, ან მერე რა იქნება?

რომი ფ: ახლა –
(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: ჰო, ახლა –

რომი ფ: ახლა – ახლა ფრანკი გაიხსენებს რაც ერთხელ შემომფიცა, რომ ჩვენი სიყვარული არასოდეს დასრულდებოდა.

კლაუდია: აჰ, მართლა –

რომი ფ: იგი ამას გაიხსენებს, მერე ალბათ შინ შემიპატიჟებს, თქვენ კი გაგიშვებთ.

კლაუდია: მგონი თქვენ ექიმის დახმარება გჭირდებათ.

რომი ფ: ან თავის პალტოს ჩაიცვამს და მე გამომყვება, თუ ჩვენ აქ თქვენ გამო ვერ დავრჩებით. მე სრულიად საღ გონებაზე ვარ. ეს წუთები დიდი ხანია რაც წარმომედგინა.

კლაუდია: თქვენი დიდი იმედის მიუხედავად, თქვენი გეგმები არ ასრულდება, ფრანკი ასე არ მოიქცევა, არც არავის შემოიპატიჟებს, არც მე არსად გამიშვებს და არც პალტოს ჩაიცვამს იმიტომ რომ თქვენ გამოგყვეთ.

რომი ფ: არა? რატომ ბრძანდებით ასე დარწმუნებული? საიდან იცით ეს –

კლაუდია: მე?
(ხანმოკლე პაუზა)
მართალი ბრძანდებით, სავსებით გეთანხმებით –
(ხანმოკლე პაუზა)
აქედან ის ნამდვილად წავა – მაგრამ ჩემთან და არა თქვენთან ერთად.
(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: როგორ – თქვენთან ერთად?

კლაუდია: ჩვენი თქვენთან შეხვედრა სრული შემთხვევითობაა. ხვალ – ჩვენ აქედან გადავდივართ –აქ ცხრამეტწლიანი

ცხოვრების შემდეგ.
(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: მერედა სად მიდიხარ მასთან ერთად, ახლა როცა მე აქ ვარ?

კლაუდია: შორს, ძალიან შორს აქედან.

რომი ფ: სად?

კლაუდია: ჩვენი ავეჯის დიდი ნაწილი უკვე შორსაა, ნაწილი დღეს ჩავალაგეთ და ხვალ შუადღისას წაიღებენ, ასე რომ თქვენი გამოჩენა ცოტა დაგვიანებულია
(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: შენ რატომ გაჩუმებულხარ, დაუჯერებელია, შენ ამ ყველაფერს უსმენ და არაფერს ამბობ. თქვი რამე, რამე ხომ უნდა თქვა.
(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: დიახ, ასეა.

რომი ფ: რა, რა არის ასე, თქვი –

ფრანკი: ის, რომ მე და კლაუდია თითქმის 20 წელია ერთად ვართ, ჩვენ დაქორწინებულები ვართ, ჩვენ თითქმის ზრდასრული ვაჟი გვყავს –

რომი ფ: *(გაბრაზებით)* რატომ, რატომ ჰყავს მას შენგან შვილი –

ფრანკი: - ხვალ კი აქედან გადავდივართ.
(ხანმოკლე პაუზა)
მართალია ჩვენ ერთმანეთს ვიცნობდით, მაგრამ ეს კონტრაქტი ყველა დროში მოქმედი არ არის.

რომი ფ: არა, არის, ზუსტადაც რომ არის, შენ ხომ მეუბნებოდი
(ხანმოკლე პაუზა)
მიმღეროდი კიდეც. არ გახსოვს ის სიმღერა? არ გახსოვს, რომ მიმღეროდი?

ფრანკი: *(აწყვეტინებს)* რაც არ უნდა მეთქვა 24 წლის წინ ახლა ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ ერთად აღარ ვართ. ჩვენი ურთიერთობა ერთი თუ ორი ზაფხულის განმავლობაში გაგრძელდა, მე და კლაუდია კი ორი ათეული წელია ერთად ვართ.

კლაუდია: ამდროისგანმავლობაში,თუმეხსიერებაარმღალატობს, მას ერთხელაც არ უმღერია.

რომი ფ: ჰო გითხარი ის (კლაუდიას გულისხმობს) შენ კარგად არ

გიცნობს –

კლაუდია: მე მისი შვილის დედა ვარ – მე ამ კაცს, თავისი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან წუთს გვერდით ვყავდი, მე მის ფიქრებს, თითოეულ ჟესტს, თითოეულ ნაბიჯს ვიცნობ და ისიც ასევე მიცნობს მე.

რომი ფ: ცნობით ჰო, ალბათ, მაგრამ გიყვარვარ მე, უკვე 24 წელია მხოლოდ მე, შენთვის მე ვარ ის ერთადერთი ქალი.

კლაუდია: საკმარისია. უთხარი, რომ ის სრულიად დაგავიწყდა – და ერთი შეხედვით ვერც კი იცანი.

რომი ფ: შეუძლებელია უკან გამაბრუნო, ეს ცუდ სიზმარს ჰგავს, რომელიც ახლავე წამში გაქრება.

ფრანკი: არა – ეს ასეა

რომი ფ: ეს ცუდი სიზმარია, მე ახლავე გავიღვიძებ.

(ხანმოკლე პაუზა)

- როცა თვალებს გავახელ შენ ჩემსკენ იქნები გადმოხრილი, მომიახლოვდები სახესთან და ნაზად მკითხავ: როგორ ხარ? უკეთ ხარ? და მე, მე გეტყვი: ვიცოდი, ბოლოს და ბოლოს დამიბრუნდებოდი, მერე ერთმანეთს ვაკოცებთ.

კლაუდია: გარწმუნებ, რომ ის შენ არ დაგიბრუნდება, არც არაფერს გეტყვის და არც გაკოცებს

(ხანმოკლე პაუზა)

კარს ვკეტავ.

რომი ფ: მომავალ – მომავალ შეხვედრამდე.

5.

(ხანმოკლე დროის შემდეგ)

თინა: რამდენიმე წუთის შემდეგ საწვიმარში გამოწყობილი ქალი გამოჩნდა. აღელვებულია, გაოგნებული, გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს, გაჩერდება, შემობრუნდება, შემდეგ კვლავ შემობრუნდება, კიდევ რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს წინ –

არ ვიცი რატომ, მაგრამ ქვას დავავლე ხელი.

ავიღე ქვა და იმ ქალს ვესროლე, მაგრამ ავაცდინე. ქვა ქვაფენილზე დაეცა და დაიფშხვნა.

შემდეგ მეორე ქვა ავიღე და კიდევ ვისროლე, მაგრამ მეორედაც აცდა. ქვამ კიდევ გაიწკარუნა ქვაფენილზე. ქალი გაჩერდა, შემოტრიალდა. ქვების წვიმამ გააოცა, მაგრამ მას ჩვენ არ დავუნახივართ, თუმცა მზერა პირდაპირ ჩვენკენ ჰქონდა მომართული. მერე ანდიმ უცბად ხელი გამიშვა, თვითონაც აიღო ქვა და ესროლა. არცერთმა არ ვიცოდით რატომ ვისროდით ქვებს. ანდიმ ზუსტად მაშინ ისროლა, ქალს რომ წასვლა უნდოდა.

6.

(ამ დროს)

(ოთახში. ფრანკი და კლაუდია. ორივე გაჩუმებული ბარგს ალაგებს. ფრანკი მეორე ყუთს კეტავს, კლაუდია კი ამ დროს რალაცას იცვამს. შემდეგ სავსე ყუთი სცენაზე გამოაქვს)

კლაუდია: რა არის ამ ყუთში?

ფრანკი: წარმოდგენა არ მაქვს

კლაუდია: ეს ყუთი შენ არ ჩაალაგე?

ფრანკი: არ მახსოვს, შეიძლება.

კლაუდია: მე ნამდვილად არ ჩამილაგებია

ფრანკი: მაშინ მე ჩამილაგებია

კლაუდია: რომ არ იცი შიგნით რა არის

ფრანკი: წარმოდგენა არ მაქვს

(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: ყუთი სავსე უნდა იყოს

ფრანკი: სავსე? დახურულია არა?

კლაუდია: ძალიან მძიმეა, აწევისას ძირი გასძვრება.

(ხანმოკლე პაუზა)

რამდენჯერ უნდა ვთქვა – რომ ნუ გამოტენით ამ ყუთებს, თორემ მერე ძირი ძვრება, რამდენჯერ გაგაფრთხილეთ.

ფრანკი: ჰო შენ სუყველა ყუთზე ამას ამბობ. რაც ჩავალაგე, მერე ჩემ ჩალაგებულს შენ ალაგებ თავიდან, ამიტომაც ვერ მოვრჩით ამდენ ხანს დალაგებას, აბა რომელ ჩემ ჩალაგებულს გაძვრა ძირი.

(გაბრაზებული ფრანკი იმ ყუთთან მიდის, კლაუდიამ

(ეროვ შემოსასვლელში გამოათრია. ასწევს, სხვა ყუთებს ზემოდან ეროვ დააგდებს და ამ დროს ყუთს ძირი გასძვრება და რალაცები იატაკზე ცვივა)

კლაუდია: *(უკმაყოფილოდ)* ო, არა!

ფრანკი: ეს რა არის –

(ყუთიდან სავსე ცელოფნის პარკები გადმოცვივდა)

კლაუდია: კოჭები!

ფრანკი: ეს ყუთი მე არ ჩამილაგებია – წლებია, რაც ეს კოჭები ხელში არ მჭერია. არც კი მახსოვდა კიდევ თუ გვქონდა.

(კლაუდია ერთ კოჭს ამოიღებს ყუთიდან)

კლაუდია: შეხედე –

(კლაუდია ქვას თვალთან მიიტანს და პატარა ხვრელში გახედავს)

ვინც ასეთ კოჭს გახედავს, ის მომავალს დაინახავს.

ფრანკი: ან წარსულს, გააჩნია რა მხრიდან შეხედავ.

კლაუდია: ჰოო?

(ის კოჭს ორივე მხრიდან ათვალიერებს)

ფრანკი: რატომ გაქვს ცალ-ცალკე შეფუთული –

კლაუდია: რატომ? შეხედე –

(ის აწევს პარკს)

კარგად შეხედე.

(ფრანკი ერთი წუთით დაფიქრდება და შემდეგ პარკზე მიკრულ წარწერას შეხედავს. პარკზე ეიფელის კოშკი ეხატა)

ფრანკი: არაა!

კლაუდია: გახსოვს საიდან გვაქვს?

ფრანკი: შენ ის –

(ხანმოკლე პაუზა)

შენ ის ამდენი წელი – 19 წელი არც კი გაგიხსნია

კლაუდია: კი – როგორ არა.

(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: აქ მოდი

კლაუდია: არა!

ფრანკი: მოდი!

კლაუდია: არა, ჩავალაგოთ

ფრანკი: მოდი –

(ხანმოკლე პაუზა. კლაუდია ფრანკთან მიდის. ისინი ერთმანეთს ეხვევიან)

კლაუდია: *(თან ფრანკს ეხვევა)* მხოლოდ ორი შესაძლო ახსნა აქვს შენს საქციელს, იმ ქალზე ჩემთან სიტყვაც რომ არ დაგცდენია.

ფრანკი: კარგი რა გეყოფა, გიხაროდეს რომ წავიდა.

კლაუდია: ან ის შენთვის მართლა არაფერს ნიშნავს და უბრალოდ დაივიწყე –

(ფრანკი ეხვევა)

ან პირიქით, შენთვის ბევრს ნიშნავს –

(კლაუდია ფრანკს მკლავებიდან დაუსხლტება) -ამიტომაც ჩემთვის მის შესახებ არაფერი გითქვამს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დამიმალე

(კლაუდია ფრანკს კრიტიკულად გახედავს)

ფრანკი: მე ის სრულიად დამავიწყდა, წესიერად აღარც კი მახსოვს.

კლაუდია: იმას რატომ უთხარი –

ფრანკი: რა?

კლაუდია: ის რომ –

ფრანკი: არა, ის რაღაც გამოთქმა თუ სიმღერა ახლა აღარც კი მახსენდება-

(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: ალბათ იმას უთხარი და აღარც კი გახსოვს

(ხანმოკლე პაუზა)

საწყალი ქალი.

7.

(ვილაც კარს ისე აწვება, რომ საკეტი გატყდა და კარი გაიხსნა. ხანმოკლე პაუზა. ანდი, ფრანკისა და კლაუდიას ვაჟი, სახლში შემორბის. სახეზე ფერწასულია, შოკირებული და ენაჩავარდნილი. ხელში აყვანილი საწვიმრიანი ქალი – მკვდარი რომი ფოგტლენდერი შემოჰყავს)

ანდი: მიშველეთ

კლაუდია: რა მოხდა –

ფრანკი: რა ხდება –

ანდი: გარეთ, სახლის წინ ეს ქალი ვიპოვე
(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: რომი –

ანდი: მე მგონი მკვდარია –

ფრანკი: მკვდარი?

ანდი: ჰო მკვდარი, ის ქვაფენილზე მკვდარი ეგდო.
(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: ქალი – მკვდარი – იქვე რატომ არ დატოვე?
(ხანმოკლე პაუზა)

ანდი: რა?

კლაუდია: ჰო, იქვე რატომ არ დატოვე?

ანდი: იქვე დამეტოვებინა? მკვდარი ქალი?

კლაუდია: ჰო –

ანდი: არა, ასე ვერ მოვიქცევი.

კლაუდია: ჰოდა ახლა რა უნდა ვქნათ, ამ ქალს რა ვუყოთ?
(ხანმოკლე პაუზა)
გვამს რა ვუყოთ, წაიღე და ისევ იქ დააგდე.

ანდი: სად, სახლის წინ დავაგდო ისევ? ქვაფენილზე? არაა!

კლაუდია: ეს ქალი ვერც მკვდარი და ვერც ცოცხალი ჩემს სახლში ვერ შემოვა

ანდი: არ შემიძლია, ამას ვერ ვიზამ.

კლაუდია: შენ არ შემოათრიე, ჰოდა შენვე გაათრიე.
(ხანმოკლე პაუზა)

ანდი: (უცბად ამოხეთქავს) მე მოვკალი!

ფრანკი: რა ქენი?

კლაუდია: რას ბოდავ –

ანდი: ჰო, მე მოვკალი.
(კლაუდია ცდილობს შემოგლეჯილი კარი დაკეტოს, მაგრამ ამაოდ, ისევ იხსნება, კლაუდია მიაჯახუნებს, მაგრამ მაინც არ იკეტება)

ფრანკი: აქ დააწვინე, აქ –
(ანდი მკვდარ ქალს შეფუთულ ყუთებზე დააწვენს)

კლაუდია: შეუძლებელია –

ანდი: ვერ გამიგია ეს ყველაფერი როგორ მოხდა.

ფრანკი: რა? რა მოხდა

ანდი: მე და თინა, ჩვენ ორივე, დღეს ჰო ჩვენი ბოლო დღე იყო, მზე დიდი ხნის გადასული იყო, ჰოდა დავინახეთ როგორ

გამოვიდა ეს ქალი ჩვენი სახლიდან, არც კი ვიცი რატომ, მან ჩვენზე გამაღიზიანებლად იმოქმედა, მისმა მანერამ. მისმა სიარულმა, არც კი ვიცი რამ, შეიძლება მისმა შინაგანმა მღელვარებამ ძალიან გაგვაღიზიანა, მე და თინამ ეს ერთდროულად შევიგრძენით, უცბად თინა ქვას სწვდა და ამ ქალს ესროლა, ააცდინა, შემდეგ კიდევ ესროლა, ორჯერ ააცდინა, ქალი უკვე მოშორებით იყო, შეუძლებელია მოხვდეს, გავიფიქრე და მეც ვესროლე, ჰოდა იმ წუთში ეს ქალი შემოტრიალდა და ჩემი ნასროლი ქვა, თითქოსდა მიიზიდაო, პირდაპირ თავში მოხვდა. ქალი დაეცა და ვეღარ ადგა.

(ხანმოკლე პაუზა)

რა ჩავიდინე?

(პაუზა)

მთელი ჩემი ცხოვრებით ეს ერთი წუთი, ერთხელ ნასროლი ქვა უნდა გამოვისყიდო.

(სიჩუმე ჩამოვარდა. არავინ იცოდა რა ეთქვა. დედა შვილს ეხვევა. მამა კი მკვდარ ქალთან მიდის)

ფრანკი: ცოცხალია!

ანდი: რა?

ფრანკი: ჰო, სუნთქავს

(ხანმოკლე პაუზა)

ძლივს სუნთქავს, მაგრამ რაც მთავარია სუნთქავს –

კლაუდია: ის ცოცხალია –

ფრანკი: ის უგონოდაა – ქვა რომ მოხვდა, სიმწრისაგან გონება დაკარგა

(ხანმოკლე პაუზა)

შენ ის არ მოგიკლავს

(ხანმოკლე პაუზა)

ანდი: არა –

ფრანკი: აქ ასე ვერ დავტოვებთ – თუ ტვინის შერყევა აქვს სიბნელეში უნდა იწვეს.

კლაუდია: სად დავაწვინოთ –

ანდი: დივანზე –

კლაუდია: დივანი გავაგზავნეთ –

ანდი: უკვე გავაგზავნეთ -

კლაუდია: გემზეა, როგორც თითქმის ყველა სხვა დანარჩენი ნივთი

–

ფრანკი: სადაც წევს, აქ ვერ დავტოვებთ, ღმერთმა იცის გონს როდის მოვა –

ანდი: მაშინ თქვენ საწოლში ჩააწვინეთ –

კლაუდია: არასოდეს. ჩვენს საწოლში ის არასოდეს ჩაწვება –

ფრანკი: სად არის შენი საწოლი – იქ ჩავაწვინოთ.

ანდი: ჩემს საწოლში – მე – ის თუ ჩემს საწოლში ჩაწვება, მაშინ მე სადღა დავწვე –

(ხანმოკლე პაუზა)

მერე თინაც უნდა მოვიდეს, უკანასკნელად –

კლაუდია: თქვენ რა აქ აპირებთ შეხვედრას –

ანდი: აბა –

(ხანმოკლე პაუზა)

მასთან ხომ ვერ მივალ, მამამისს ვეზიზღები

(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: კინოში წადით – რა ვიცი უამრავი შესაძლებლობა არსებობს.

ანდი: მერე რა ვქნა, ამ ქალის გვერდით ხომ არ გავატარებ ღამეს.

(დუმილი)

ფრანკი: არ შეგიძლია –

ანდი: ამას არ ვიზამ!

ფრანკი: არ შეგიძლია –

ანდი: ამას არ ვიზამ! ნეტავ არ შემომეთრია –

(ანდი ბრაზობს)

(ფრანკი და კლაუდია უგონოდ მყოფ ქალს მიუბრუნდნენ)

ფრანკი: შიგნით შევიყვანოთ –

კლაუდია: შენ თვითონ შეიყვანე –

ფრანკი: მარტო როგორ –

კლაუდია: რა, არ შეგიძლია? ძალიან მძიმეა? წინათ ხომ შეგეძლო – ეს რა არის?

ფრანკი: რა?

კლაუდია: ეს იატაკზე - აქ სისხლია?

ფრანკი: სისხლი?

კლაუდია: დიახ –

ფრანკი: სად?

კლაუდია: აქ, იატაკზე –

ფრანკი: მართლაც – აქ ლაქაა, მე ვერც კი შევნიშნე.
(ის ლაქას სინჯავს)
ეს სისხლია – მას ჭრილობა აქვს

კლაუდია: სად?

ფრანკი: არ ვიცი, ვერ ვხედავ –

კლაუდია: კარგად დააკვირდი –
(ის ჩქარ-ჩქარა სინჯავს ყუთებზე მწოლიარე ქალს)

ფრანკი: ნახე რამე –

კლაუდია: ჭრილობა არ ჩანს, ან ტანისამოსი უფარავს ან თმები – კარგად ნახე, მიდი ნახე, ხელი მოჰკიდე, რა პირველად ხომ არ აკეთებ ამას.

ფრანკი: შენ თვითონ რატომ არ ნახავ?

კლაუდია: მეე? მე ამას არ ვიზამ. მის სხეულს მე არ შევეხები.
(ფრანკი კლაუდიას თვალწინ რომი ფოგტლენდერის სხეულს ათვალიერებს)
(ერთი წუთის შემდეგ)
იპოვე?

ფრანკი: არა

კლაუდია: მისი სხეული ისეთივე მგრძნობიარეა?
(ფრანკი გაჩერდება, კლაუდიას შეხედავს, შემდეგ კვლავ აგრძელებს ძებნას)
მითხარი ისევ აღგაგზნებს? რაიმეს გრძნობ? წარსული გაგახსენდა?

ფრანკი: აი, ვიპოვე
(კლაუდიას თავის სისხლიან ხელს აჩვენებს, რომ დაარწმუნოს)
აქ – თმების ქვეშ ჭრილობაა.
(ხანმოკლე პაუზა)
უნდა შევუხვიოთ

კლაუდია: შევუხვიოთ –

ფრანკი: ჰო, ბინტი იქნებ ნახო სადმე – სისხლი ისევ სდის –

კლაუდია: *(უიმედოდ გახსნის რამდენიმე ყუთს)*
როგორ ვიპოვი ახლა ბინტს – ყველაფერი ხომ ჩალაგებულია!

ფრანკი: კარგი მაშინ მანქანაში ვნახავ –

კლაუდია: შენ –

ფრანკი: ჰო, მანქანაში ვნახავ –

კლაუდია: მერე მე აქ დავრჩე?

ფრანკი: შენ აქ დარჩები მასთან, სანამ მოვალ –

კლაუდია: არა, მე მარტო ამ ქალთან არ დავრჩები! შენ მე აქ მარტო არ დამტოვებ – რა უნდა ვქნა გონზე რომ მოვიდეს – ხომ არ დაგავიწყდა რა ვუთხარი!

ფრანკი: მაშინ შენ წადი და მე დავრჩები.

კლაუდია: შენ აპირებ აქ დარჩენას –

ფრანკი: და მე შენ აქ მასთან მარტო უნდა დაგტოვო – ერთ-ერთი უნდა წავიდეს.

კლაუდია: რატომ არ გავაღვიძებთ და გარეთ არ გავსვამთ –

ფრანკი: ასეთ მდგომარეობაში როგორ – გიხაროდეს, რომ არ მოკვდა

კლაუდია: იქნებ უკეთესიც ყოფილიყო –

ფრანკი: წადი და მოიტანე ბოლოს და ბოლოს ბინტი –

კლაუდია: იქნებ ორივე ერთად წავსულიყავით –

ფრანკი: *(ხმამაღლა ყვირის)* აქ მარტო დაგდებულს ხომ არ დავტოვებთ. წადი ბოლოს და ბოლოს! *(კლაუდია ყოყმანით მიდის)*

8.

(ფრანკი და რომი. ფრანკი ყუთებზე მწოლიარე ქალის გვერდით ჩამომჯდარა და მთელი ამ დროის განმავლობაში მისი თავი უჭირავს. სხვა არაფერი ხდება ამ სურათის გარდა. ფრანკი ქალს უყურებს. შემდეგ წინ გაიხედავს. რომი თვალებს ახელს და ფრანკს დიდხანს აკვირდება, ისე რომ ვერც კი შენიშნავს. შემდეგ:)

ფრანკი: როგორ ხარ? კარგად ხარ?

რომი ფ: ვიცოდი, ბოლოს და ბოლოს დამიბრუნდებოდი

ფრანკი: არა –

რომი ფ: როგორ არა, კი –

(ხანმოკლე პაუზა)

ასე რომ არ იყოს, აქ არ ვიქნებოდი

(მას ისევ გული მისდის. პაუზა. ფრანკი ისევ ყუთზე ზის და ისევ რომის თავი უჭირავს.

შემდეგ დგება, აიყვანს რომის და ანდის ოთახში გაჰყავს.

ცარიელი სცენა. კლაუდია ჩქარი ნაბიჯით, ბინტით ხელში შემოდის)

კლაუდია: აი, მოვიტანე –

(იქ არავინაა, ის შემოსასვლელში მარტო დგას)

9.

(გვიანი ღამეა, სადღაც ოთხის ნახევარი იქნება. შემოსასვლელი ცარიელია, რომი ფოგტლენდერი თავშეხვეული ნახევრად ბნელ ოთახში ბიჭის ოთახიდან გამოდის. უცბად გაშეშდება, შემდეგ ერთ-ერთ ყუთზე ჩამოჯდება. სიჩუმეა. ანდი შემოდის კარდონებისგან სახელდახელოდ ჩახერგილ კარში. თან ყუთებს აქეთ-იქეთ ნევს. ყუთი, რომელიც ზემოთ დევს, ჩამოვარდება და რამდენიმე ძველი სათამაშო და მანქანის მოდელი იატაკზე გადმოცვივდება. ანდი სინათლეს აანთებს. მისი მზერა მხოლოდ იატაკისკენაა მიმართული)

ანდი: ჩემი ყუთი – მაინცდამაინც ჩემი ყუთი.

(ის ნივთებს ყუთში აწყობს)

რა მაინცდამაინც ჩემი ნივთების ყუთი დადეს აქ –

რომი ფ: არ შეგეშინდეს –

ანდი: *(შეშინებული)* ვა

(ხანმოკლე პაუზა)

(ანდი წყვეტს ნივთების ყუთში ჩალაგებას)

ჩემი მშობლები სად არიან –

რომი ფ: სძინავთ –

(ხანმოკლე პაუზა)

ანდი: თქვენ?

რომი ფ: მე მღვიძავს.

ანდი: ჰოო –

რომი ფ: შენ, შენ რატომ არ გძინავს?

ანდი: მეც არ მეძინება

რომი ფ: სად იყავი?

ანდი: გარეთ

რომი ფ: ოთხის ნახევარია. არ დაიღალე?

ანდი: არა –

რომი ფ: არ გინდა დაწვე?

ანდი: არა, არა

(ხანმოკლე პაუზა)

თქვენ არ ხართ დაღლილი?

რომი ფ: არა –

(ხანმოკლე პაუზა)

ანდი: ის საწოლი თქვენთვისაა

რომი ფ: ჩემთვის?

(ხანმოკლე პაუზა)

შენი საწოლი არაა -

ანდი: ჰო – მერე რა.

(პაუზა. ორივე გაჩუმდება. ანდი უცბად კედლისკენ შეტრიალდება, ჯიბიდან შავ ფლომასტერს ამოიღებს და კედელზე რაღაცას დაჯღაბნის, შემდეგ ისევ რომისკენ მიბრუნდება და შეხედავს. პაუზა)

რომი ფ: ეს რა არის?

ანდი: ჩემი ნიშანი

რომი ფ: შენი ნიშანი – რა ნიშანი –

ანდი: ჩემი ნიშანი – ისევე როგორც ჩემი სახელი – ჩემია

რომი ფ: რატომ წერ ყველგან?

ანდი: ეს ჩემი ნიშანია, ვინც ნახავს, ეცოდინება, რომ აქ მე ვიყავი

რომი ფ: ჰოო –

ანდი: დიახ.

რომი ფ: ჰო, მაგრამ ვინ უნდა ნახოს –

ანდი: რაა –

რომი ფ: ის რომ აქ იყავი

(პაუზა)

ანდი: რა ვიცი, ვინმემ

(ხანმოკლე პაუზა)

ჩვენ ხვალ აქედან გადავდივართ

რომი ფ: აქ ალბათ თავიდან გადაღებავენ ყველაფერს.

(ხანმოკლე პაუზა)

ანდი: მერე რა – მე აქ ვიყავი

თინა: მასთან ვერ მივალთ იმიტომ, რომ იქ ის ქალია თავი რომ გაუტეხა ქვით, ვერც ჩემთან წავალთ, რადგან მამაჩემი მას ვერ იტანს. მამა ამბობს, რომ მასში ეს ბიჭი უნდობლობას იწვევს.

ჩვენ ერთმანეთს როგორც ყოველთვის ფერდობზე შევხვდებით და მერე კინოში წავალთ.

ფილმი ერთი ქალის ისტორიას მოგვითხრობს, რომელმაც პანდორას ყუთი უნდა იპოვოს, სანამ ეს ყუთი ისეთი ადამიანის ხელში მოხვდება, ვინც დედამიწას საფრთხეს შეუქმნის. ძებნა სხვადასხვა კონტინენტზე ხდება, საბერძნეთიდან იწყება და რუსეთის გავლით ინგლისში გრძელდება, შემდეგ კაცობრიობის აკვნად წოდებულ ჩინეთიდან აფრიკაში გაგრძელდა. ჩვენც ფილმის გმირთან ერთად ხან წყლისქვეშა ნავით ვმოგზაურობთ, ხან მოტოციკლებით ან ჯიპებით, პარაშუტითაც ვეშვებით და გემითაც ვმგზავრობთ, ხან ცხენებით და ხან ვერტმფრენით. შემდეგ შინ ვბრუნდებით. თორმეტის ნახევარია და ჩვენ კვლავ ზევით ვართ ფერდობზე. ცივა, თხლად მაცვია, მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა ჩემთან წასვლა. პირველის ნახევარი იყო, სიცივეს ვეღარ გავუძელი და ჩემთან წავედით. მე სახლში შევედი, ანდი კი ქვევით ჩემი ფანჯრის წინ ბაღში მელოდებოდა. სახლში სიბნელე, სიმშვიდეა, ჩემს მშობლებს ზევით პირველ სართულზე სძინავთ. ჩემი ოთახი კი ქვევით, სარდაფთანაა. ანდი უხმაუროდ ძვრება ვიწრო ფანჯარაში. სიჩუმეა.

ჩვენ ერთმანეთის გვერდით ჩემს ვიწრო საწოლზე მშვიდად ვწევართ, სიბნელეა. არანაირი მუსიკა, ჩვენს თავზე და ჩვენ გარშემო სახლია როგორც ანტიკური სამარხი, ქვევით პატარა სააბაზანოა, ჩემი ოთახი და სამშენებლო ნივთების სარდაფია, სულ დაბლა კი სამზარეულო და მისაღები ოთახი, ზევით ჩემი მშობლების საწოლი ოთახი და კიდევ ერთი სააბაზანო.

შიშვლებმა, როგორც სახლში ვიყავით, სირბილი დავიწყეთ. ჩვენ უხმაუროდ ვმოძრაობდით სიბნელეში ოთახებში, შემოსასვლელში, ხან კიბეზე ჩავირბენდით, ხან ამოვირბენდით. ცოტა ხნით ჩემი მშობლების ოთახის

წინ შევყოვნდით და შემდეგ ისევ განვაგრძეთ სირბილი, კარიდან გასულები ბაღში აღმოვჩნდით. მიუხედავად სიცივისა, გაზონზე შიშვლები ვიყავით.
შემდეგ ისევ სახლში, ჩემს ოთახში შევვარდით.
უცბად ოთახში დავინახეთ მამაჩემი პიჟამოსა და მაისურში. "ახლავე გაეთრიე, ახლავე", - თქვა მან, ანდის ჩაავლო ხელი, კიბეზე აათრია და სახლიდან გაისროლა, ამის შემხედვარე დედაჩემმა კივილი მორთო.
მე კიბეზე ჩავირბინე, მათ ცხვირწინ ჩემი ოთახის კარი ჩავრაზე, ჩვენს ტანსაცმელს ხელი დავავლე და ფანჯრიდან გადავძვერი. მამა კი იდგა და გვიყვიროდა.
ანდი თავისი მშობლების სახლისკენ გარბოდა, ჯიბიდან შავი ფლომასტერი ამოაძრო. ყველა კედელზე, ავტოსადგომების კარებზე ჩვენს ნიშანს ვტოვებდით, მის სახელს და გვერდით ჩემსას – ანდი და თინა. ანდი ჯერ თვითონ წერდა, შემდეგ ფლომასტერს მე მაწვდიდა, მე ისევ მას, ასე ვწერდით მონაცვლეობით. სახელებს შორის არც პლუსი დაგვისვია, არც გული დაგვიხატავს. მხოლოდ ჩვენი სახელები ერთმანეთის გვერდით, ასე ვწერდით ყველგან მის სახლამდე.
აი, ანდის სახლის კართან შევჩერდით, მან მოკლედ მითხრა: ნახვამდის –
(ხანმოკლე პაუზა)
მიყვარხარ, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს ვეღარ შევხვდებით.
ხო, ვიცი – ვუპასუხე მე. ნახვამდის, ბედნიერად.

11.

ორი დღით ადრე. ბინა არეულია. მშობლები ნივთებს ალაგებენ ყუთებში. ბიჭს თავისი ყუთი გამოაქვს ოთახიდან და შემოსასვლელში დგამს. მას ყურადღებას არავინ აქცევს. ის ერთი წუთით შეყოვნდება. შემდეგ კედელთან დადგება და შავი ფლომასტერით კედელზე ენერგიულად დაჯღაბნის კოდირებულ სახელს.
(პირველი დღე.)

ფრანკი: შეეშვი –

ანდი: რატომ –

ფრანკი: იმიტომ რომ არ შეიძლება –

ანდი: რატომ –

ფრანკი: ასე კედლებს აფუჭებ –

ანდი: კედლებს არა –

ფრანკი: დიახ, კედლებს –

ანდი: კედლები უკვე გაფუჭებულია –
(ხანმოკლე პაუზა)
ზეგ მოვა მღებავი და ცხრამეტი წლის შემდეგ აქ ყველაფერს თავიდან გადაღებავს –

ფრანკი: გაფუჭებული, სულაც არ არის გაფუჭებული, უბრალოდ დასვრილია ალბათ. შენ კი ნამდვილად აფუჭებ, ამოკაწრულს ვერავინ წაშლის –

ანდი: მით უკეთესი
(ფრანკი პატარა ვედროთი საღებავს მოიტანს და კედელზე დაჩხაპნილ ადგილს ღებავს)

ფრანკი: შეხედე - მაინც ჩანს
(ის კვლავ ღებავს)
ხედავ, საღებავმა არ დაფარა –

12.1

(ორი დღის შემდეგ. ღამეა ოთხის ნახევარია)

რომი ფ: *(შეხვეულ თავზე ხელს იკიდებს)* რა მჭირს თავზე ხომ არ იცი?

ანდი: არაა –

რომი ფ: არა?

ანდი: თავზე ჭრილობა გაქვთ.

რომი ფ: ჰო და არც კი ვიცი საიდან. მგონი რაღაც მომხვდა
(ხანმოკლე პაუზა)
როცა გამელვიძა, ისევ აქ აღმოვჩნდი.

ანდი: *(მხარს იჩეჩავს)* მე სახლში არ ვიყავი – არ ვიცი რა მოხდა.

რომი ფ: მაშინ საიდან იცი აქ რომ ვიყავი?
(ანდი გაჩუმდა)
უკან რომ დაბრუნდი, მაინც გაიგე აქ რომ ვიყავი არა?

(ანდი დუმს. ის თავის ძირს დაყრილ ნივთებს ალაგებს ყუთში. ზოგიერთ ნივთს ათვალიერებს ბავშვობას რომ ახსენებს., მანქანებს, ინდიელ კაცუნებს, ლოგოს ნაწილებს. შემდეგ ერთი მანქანის მოდელს იღებს ხელში)

ანდი: ეს ძველი რალის მანქანაა, მანქანა ფრთებით –
(იგი მანქანის კარს გამოაღებს და ზემოთ ასწევს თითქოსდა უნდა გაფრინდესო)
კარები ფრთებს ჰგავს
(შემდეგ მანქანას ისევ ყუთში ჩააგდებს)

რომი ფ: Who knows how long I've loved you
You know I love you still
Will I wait a lonely lifetime
If you want me to – I will.
გეცნობა?

ანდი: რა სიმღერა? რა თქმა უნდა –
(ხანმოკლე პაუზა)
რა თქმა უნდა ვიცი
თქვენ საიდან იცით?
(ის დარჩენილ ნივთებს ყუთში ყრის. ყველაფერი ჩაალაგა. შემდეგ დახურავს თითქმის სავე ყუთს და თავის ნიშანს მიახატავს)
ხედავთ?

რომი ფ: რას?

ანდი: ნიშანს – ადრე რაღაც ყუთი იყო, ახლა კი – ახლა უკვე ჩემია. აქ ჩემი ნიშანია მიხატული. ყუთი ჩემი საკუთრებაა. მე მხოლოდ ერთი ყუთი მაქვს – მეტი არც მჭირდება.

12.2

(ცოტა მოგვიანებით)

ანდი: ეს ქვა იყო

რომი ფ: რა ქვა –

ანდი: თქვენ რომ მოგხვდათ, ქვა იყო

რომი ფ: არა – შენ საიდან იცი?

12.3

(ცოტა ხნით ადრე იმავე ღამეს: ის ხურავს თითქმის სავე ყუთს და თავის ნიშანს დიდი ასოებით მიახატავს)

ანდი: ხედავთ?

რომი ფ: რას?

ანდი: ნიშანს - ადრე რალაც ყუთი იყო, ახლა კი – ახლა უკვე ჩემია. აქ ჩემი ნიშანია მიხატული. ყუთი ჩემი საკუთრებაა. მე მხოლოდ ერთი ყუთი მაქვს – მეტი არც მჭირდება.

(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: შეყვარებული გყავს?

ანდი: დიახ.

რომი ფ: რა ჰქვია?

ანდი: თინა.

რომი ფ: ახლა სადაა?

ანდი: სახლში ან გზაში სახლისკენ.

რომი ფ: აქ რატომ არ არის?

(ხანმოკლე პაუზა)

ანდი: აქ ადგილი არ არის

რომი ფ: ااا –

(ხანმოკლე პაუზა)

შენ რატომ არ ხარ მასთან –

ანდი: ვიყავი უკვე –

რომი ფ: გიყვარს?

ანდი: ძალიან

რომი ფ: მაინც როგორ?

ანდი: მე ის სულ მეყვარება.

რომი ფ: სუულ?

ანდი: ჰო, სულ –

რომი ფ: იმან იცის?

ანდი: კი იცის.

რომი ფ: უთხარი?

ანდი: ვუთხარი

რომი ფ: ჰოო?

ანდი: თქმით კი, ვუთხარი რომ სულ მეყვარება

(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: როგორ გამოიყურება?

ანდი: ხატვა რომ შემეძლოს დავხატავდი, მაგრამ არ შემი-

ძლია

(ხანმოკლე პაუზა)

ყველა კედელს მოვხატავდი მისი სხეულით. კედელზე ტყეს დავხატავდი, ტყეს, რომელიც მისი სხეული იქნებოდა, ტოტებს, ყლორტებს, ფოთლებს, ყველაფერს ცოცხალს, შეურყვნელს, მზარდს, მისი სხეული კედელზე მოსრიალე ლურჯი ფოთლები იქნებოდა. კედელი, ტყე და სხეული – მუქი, ელვარე. ასე დავხატავდი მას, ამოუცნობს, თავგზაამრევს.

იქვე იქნებოდნენ ცხოველები, იქნებოდა ხმაური, საოცარი ხასხასა სიმწვანეა, ისეთი მის გვერდით გაღვიძებულს რომ ვხედავ. მის უკან კი სიშავეა, იქვე იქნებოდნენ ვეფხვები, თუთიყუშები. ადგილი, რომლის მსგავსი არსად მოიძებნება. იმედგაცრუება. სილამაზე, სიბნელე, რომელიც ამავდროულად მისი სხეულია. სიბნელე, სადაც ცხოვრება შეუძლებელია. მზის რამდენიმე სხივი ტბაზე ეცემა. იქ ვილაც ცურავს, წყვილს ჰგავს. ის დიდ კედელზე უნდა დაიხატოს, ფესვებით და თევზებით. ასეთია ჩემი გოგონას სხეული, მისი ახალგაზრდობა და ყველაფერი, რაც მას მომავალში ელის: სხვა კაცები, სხვა ცხოვრება. შვილები. და როგორ მოძრაობს –

კედლის ნახატი, რომელიც არაფრისგან ტყედ იქცა. ტყით დაფარული დიდი კედელი, რომელზეც ადგილ-ადგილ თითქოს პატარა ფანჯრებია ამოჭრილი.

(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: სახე

ანდი: სახე

(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: ჰო სახე –

ანდი: ცა იქნება სახე. ცა სახლის თავზე, კედლის თავზე, საკვამურები კი ყელი. ღრუბლები - თმები, ცა გამჭვირვალე, თვალები კი უძირო.

(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: საოცარია, როგორ ემსგავსები მამაშენს. ისიც ასეთი იყო ახალგაზრდობაში

(ხანმოკლე პაუზა)

ანდი: ის ქვა იყო

რომი ფ: ქვა –

ანდი: ქვა იყო თქვენ რომ მოგხვდათ

რომი ფ: არა –

ანდი: როგორ არა – ქვა იყო – დაახლოებით ასეთი ზომის – ის თქვენ მოგხვდათ თავში.

რომი ფ: საიდან იცი?

ანდი: ვიცი, იმიტომ რომ ქვა მე ვისროლე.

რომი ფ: შენ –

ანდი: ჰო მე, ეს მე ვიყავი

რომი ფ: ალბათ მეც შენ მომიყვანე აქ, არა –

ანდი: დიახ –

რომი ფ: ესე იგი შენ იყავი და არა მამაშენი.

ანდი: მე ვიყავი, თავიდან ვიფიქრე რომ მკვდარი იყავით *(რომი ფოგტლენდერი ახალგაზრდა კაცთან მიდის და ვნებიანად კოცნის.)*

12.4

(ცოტა ხნით ადრე)

თინა: მან თქვა, რომ ჩვენ ვერასოდეს ვნახავთ ერთმანეთს. მან თქვა, რომ ვუყვარვარ. მაგრამ ერთმანეთს ვერასოდეს ვნახავთ.

(ხანმოკლე პაუზა)

შემდეგ ის სახლში შედის. მე ვფიქრობ – რომ ის მაშინვე უკან გამოვა. ახლა არ თქვა, რომ ერთმანეთს ვერასოდეს ვნახავთ, სახლში რა უნდა. სახლში, სადაც მისი ადგილიც კი არაა. მან სინათლე აანთო – მეტს ველარ ვხედავ.

მე აქ დაველოდები, იქნებ მოვიდეს. ცივა.

(ხანმოკლე პაუზა)

მე ვიცდი ხუთი, ათი წუთი, მაგრამ ის არ გამოდის.

მე ფერდობის ძირში მარტოდმარტო სიბნელეში ვდგავარ, იქ, სადაც ლამპიონის სინათლე არ ეცემა. ყვეელაფერს სძინავს. არც მანქანებია. არც ხმები ისმის. ჩემს თავზე თვითმფრინავმა გაიელვა. ნეტავ რა ხდება ახლა თვითმფრინავში? ქუჩაც ცარიელია. მე კვლავ ვიცდი. ის კი არ გამოდის.

12.5

(ცოტა მოგვიანებით. ბიჭი და ქალი შემოსასვლელში. ისინი ერთად იწვნენ.)

რომი ფ: ახლა რა ბედი ელის შენს შეყვარებულს –

ანდი: რა ელის?

რომი ფ: შენ ხომ შეპირდი, რომ ყოველთვის გეყვარებოდა –

ანდი: *(იცინის)* თქმით ვთქვი –
(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: მერე?

ანდი: ამას რა მნიშვნელობა აქვს.

რომი ფ: რატომაც არა?

ანდი: მე მას მაინც ვერასოდეს ვნახავ.

რომი ფ: არა?

ანდი: არა, ვერ ვნახავ.

რომი ფ: რა იცი –

ანდი: ვიცი.

რომი ფ: შეგეძლო აქ დარჩენილიყავი.
(ხანმოკლე პაუზა)
ან კვლავ ჩამოსულიყავი.

ანდი: არა.

რომი ფ: რატომ?

ანდი: იმიტომ, აი ასე ძალიან მარტივად ყველაფერი დამთავრდა.
(ანდი რომისკენ გადაიხრება და აკოცებს. კოცნისას რომი ცელოფნის ერთ-ერთ პარკს დაავლებს ხელს, რომლებიც სახვევის ძებნისას საიდანლაც გადმოიყარა. ის ზუსტად იმ პარკს აიღებს, რომელზეც ეიფელის კოშკი ეხატა.
ისინი ანდის ოთახში გაუჩინარდებიან.)

12.6

(დაახლოებით 10 საათით ადრე)

კლაუდია: შეხედე –
(ის პარკს აწევს)
კარგად შეხედე –
(ფრანკი ერთი წუთით დაფიქრდება და შემდეგ პარკზე

მიკრულ წარწერას შეხედავს. პარკზე ეიფელის კოშკი ხატია)

ფრანკი: არაა!

კლაუდია: გახსოვს საიდან გაქვს?

ფრანკი: შენ ის –

(ხანმოკლე პაუზა)

შენ ის ამდენი წელი – 19 წელი არც კი გაგიხსნია –

12.7

(დაახლოებით 10 საათის შემდეგ.

ბიჭი და ქალი. ანდის ოთახში შესვლის შემდეგ მალევე უკან გამოდიან. ისინი ერთმანეთს კოცნიან. ანდი იცინის და ცდილობს, რომის აკოცოს. რომი კი ცდილობს ანდი კოცნა-კოცნით შეიტყუოს და ცელოფნის პარკი ჩამოაცვას თავზე.

შემდეგ ისევ ანდის ოთახში შედიან.

ისევ გამოჩნდებიან, ანდის პარკი თვალებამდე აქვს ჩამოცმული, ისინი ერთმანეთს კოცნიან, ანდი ცდილობს თავიდან მოიცილოს პარკი, ისე რომ ვერც ხვდება, რა ხდება.

ისინი კვლავ ოთახში გაუჩინარდებიან.

მერე ისევ გამოჩნდებიან, ანდი ცდილობს თავი გაითავისუფლოს, მაგრამ ამაოდ, პარკი კარგად აქვს თავზე ჩამოცმული. ის ჰაერში აცეცებს ხელებს. ჰაერი არ ჰყოფნის. მალე გაიგუდება. ისევ თავისი ოთახისკენ მიდის. იხრჩობა, ბრმად იბრძვის, შემდეგ ისევ შემოსასვლელში გამოვა, რომი მას კვლავ თავისი ოთახისაკენ მიათრევს.

სხვა კარიდან – შორტებსა და მაისურში გამოწყობილი ანდის დედა შემოდის. ის ნამძინარევია – ნეტავ რამე თუ გაიგო?)

კლაუდია: ანდი?

(ხმას არავინ სცემს. ის სააბაზანოში შედის და კარს მიიკეტავს.

აბაზანიდან ხმები ისმის.

ამ დროს მომაკვდავი შვილი ცდილობს შემოსასვლელში

გამოვიდეს, უნეტაზის ჩარეცხვის ხმა ისმის, რომი ანდის უკან თავის ოთახში გაათრევს. დედა სააბაზანოდან გამოდის და თავის ოთახში შედის.
შვილი კი უკანასკნელად მოიკრებს ძალებს და ოთახიდან გამობობღებას მოასწრებს, რომი კი მას ისევ იქ შეათრევს.)

13.

(მეორე დილას. ფრანკი და კლაუდია შემოსასვლელში დგანან. კედელზე ანდის დაჯღაბნილი წარწერა მოჩანს.)

ფრანკი: მგონი დაბერდი
(ხანმოკლე პაუზა)
დედაბერს ჰგავხარ
(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: შენც.

ფრანკი: ბებერი და გაცვეთილი

კლაუდია: *(ხმადაბლა)* როგორც შენ
(ხანმოკლე პაუზა)
მაგრამ შენგან განსხვავებით მხდალი არ ვარ

ფრანკი: შენ ბებერი ხარ, გაცვეთილი და მახინჯი
(ხანმოკლე პაუზა)
(ის ყუთთან რაღაცას აკეთებს)
ბევრი აღარ დარჩა
(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: რას მეუბნები –
(ხანმოკლე პაუზა)
ასეთ რამეს არავის ეუბნებიან – რაც ახლა შენ თქვი – და თანაც 19 წლის ქორწინების შემდეგ.
(ხანმოკლე პაუზა)
ასეთი რამ უბრალოდ არ ითქმის.
არც მაშინ, რაც მე შენ ამხელა ვაჟი გაგიზარდე. და არც მაშინ, როცა ჩვენ – მომავალში კიდევ ერთად უნდა ვიყოთ –
(ხანმოკლე პაუზა)
ასეთ რამეს არ ამბობენ.

14.

(რამდენიმე წუთით ადრე იმავე დილას. ფრანკი შემოსასვლელში დგას, კლაუდია შემოდის.)

ფრანკი: კარგად გეძინა?

კლაუდია: ცუდი სიზმარი ვნახე. თითქმის მთელი ღამე ცუდ სიზმრებს ვხედავდი

(ის თავისი ვაჟის ოთახის კარს აღებს)

ფრანკი: ის ქალი წასულია. იქ არავინაა.

კლაუდია: ანდი სად არის?

ფრანკი: ანდი? მანდ არ არის – მისი ოთახი ცარიელია.

კლაუდია: სად არის?

ფრანკი: მე რა ვიცი – ალბათ თინასთან.

კლაუდია: არ მგონია იქ იყოს – თინას მამას მისი ატანა არ აქვს.

ფრანკი: ალბათ სადმე დარჩა

(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: რა სამწუხაროა –

ფრანკი: რა?

კლაუდია: მე ვთქვი რა სამწუხაროა-თქო

ფრანკი: რას გულისხმობ –

კლაუდია: რომ ის ქალი უკვე წავიდა – ალბათ ძალიან წუხხარ.

ფრანკი: ამას რატომ ამბობ?

კლაუდია: რატომ და იმიტომ, რომ ეს ასეა –

ფრანკი: რა –

კლაუდია: ის რომ შენთვის სამწუხაროა, ის ქალი რომ უკვე წავიდა.

ფრანკი: რატომ უნდა ვწუხდე – საიდან დაასკვენი, რომ შესაძლოა ეს მწყენოდა–

კლაუდია: იმიტომ, რომ მასთან ერთად სიამოვნებით იბაასებდი.

ფრანკი: ჰოო?

კლაუდია: ჰო –

ფრანკი: მერედა რაზე?

კლაუდია: რაზე?

ფრანკი: ჰო რაზე, მასთან რა თემაზე უნდა მესაუბრა –

კლაუდია: წარმოდგენა არ მაქვს – ეს შენ უკეთ გეცოდინება –

ფრანკი: ვერ ვხვდები, რაზე მესაუბრები

(ხანმოკლე პაუზა)

მასთან საუბარი რომ მდომებოდა შინ შემოვიპატიჟებ-

დი, გარეთ კი არ გავაგდებდი.

კლაუდია: აჰ, მართლა –

ფრანკი: ჰო –

კლაუდია: ის შენ არ გაგიგდია.

(ხანმოკლე პაუზა)

კარი მე დავკეტე და არა შენ.

(ხანმოკლე პაუზა)

შენ ის საწოლში ჩააწვინე. მას გატეხილი თავი შეუხვიე.

ფრანკი: აბა რა უნდა მექნა –

კლაუდია: არაფერი –

ფრანკი: არაფერი –

კლაუდია: იმის მაგივრად არაფერი გექნა, შედიხარ მასთან ოთახში და უყურებ, - მიუხედავად იმისა, რომ გონზე არც მოსულა!

ფრანკი: ამიტომაც. მას მძიმე ჭრილობა ჰქონდა, არც კი მეგონა რომ საერთოდ გადარჩებოდა.

კლაუდია: ეს შიში – როგორც აღმოჩნდა – სრულიად უსაფუძვლო ყოფილა. ეს შიში მხოლოდ მიზეზი იყო. მიზეზი იმისა, რომ იმ ქალისთვის შეგეხედა.

(პაუზა)

არადა აქ – ჩვენი უკანასკნელი საღამო იყო.

ფრანკი: შენ დაბერდი.

(პაუზა)

დედაბერს ჰგავხარ.

(პაუზა)

კლაუდია: შენც.

ფრანკი: ბებერი და გაცვეთილი

კლაუდია: *(ხმადაბლა)* როგორც შენ.

(ხანმოკლე პაუზა)

მაგრამ შენგან განსხვავებით მხდალი არ ვარ.

ფრანკი: შენ ბებერი ხარ, გაცვეთილი და მახინჯი.

(ხანმოკლე პაუზა)

(ის ყუთთან რაღაცას აკეთებს.)

ბევრი აღარ დარჩა.

(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია: რას მეუბნები –

(ხანმოკლე პაუზა)

ასეთ რამეს არავის ეუბნებიან – რაც ახლა შენ თქვი – და თანაც 19 წლის ქორწინების შემდეგ.
(ხანმოკლე პაუზა)
ასეთი რამე უბრალოდ არ ითქმის.
არც მაშინ, როცა მე შენ ამხელა ვაუი გაგიზარდე და არც მაშინ, როცა ჩვენ – მომავალში კიდევ ერთად უნდა ვიყოთ –
(ხანმოკლე პაუზა)
ასეთ რამეს არ ამბობენ.
(რომი ფოგტლენდერის გამოსვლა. ის ოთახის ღია კარში გამოჩნდება)

რომი ფ: კარი სულ დამტვრეულია – საკეტი გამოგლეჯილი. ნეტავ რატომ?
რა მოხდა?
(ხანმოკლე პაუზა)
ამის შეკეთება შეუძლებელია.
(სიჩუმე)
მე დავბრუნდი. გამარჯობათ.
(სიჩუმე)

კლაუდია: მე ახლა წავალ ოც წუთში –
(ის საათს შეხედავს)
ოც წუთში ისევ დავბრუნდები და თუ ეს ქალი კიდევ აქ დამხვდება, მაშინ სამუდამოდ წავალ. ოც წუთში თუ ეს ქალი კიდევ აქ იქნება, ჩვენ შორის ყველაფერი, ყველაფერი დამთავრდება.
(კლაუდია გადის. ის მიიჯახუნებს კარს, რომელიც კვლავ გაიღება.)

15.1

(დაახლოებით 25 წუთის შემდეგ.
კლაუდია ოთახში შემოდის. შემოსასვლელი ცარიელია. აბაზანიდან ხმაური ისმის. ის დგას და ყურს მიუგდებს. ოთახებში შედის, ეძებს. იქ არავინაა. ის ისევ სააბაზანო ოთახის კართან დადგება და მიაყურადებს.)

კლაუდია: როგორც იქნა –
(ხანმოკლე პაუზა)

როგორც იქნა, წაბრძანდა!
(ხანმოკლე პაუზა. კლაუდია გახარებულია)
შენგან ამას არც კი მოველოდი.
თითქმის
(ის ღია კართან მიდის და ცდილობს დაკეტოს, კარი ჯიუტობს, კლაუდია უხეშობს და ბოლოს ისე მიაჯახუნებს, რომ კარი მართლაც დაიკეტება.)
კარი შევაკეთე.
(ხმადაბლა) ამის კარგიც ...
(აბაზანის კართან) შეიძლება შემოვიდე?
(კარი ჩაკეტილია)
თითქმის არ მოველოდი შენგან.
(ხანმოკლე პაუზა)
შხაპს იღებ?
(ცოტა ამაყად) ცხრამეტი წლის უღელი კარგად ეკვრის ტანს. ადვილად ვერ მოიცილებ – ამას ვერ მოახერხებ – ის წლები უკეთ ეწებება, ვიდრე ერთი ზაფხული.
(ხანმოკლე პაუზა)
თინა გამოვიდა ახლა სახლიდან? თითქოს ვიღაც დავინახე –
(ის პატარა შეფუთულ საჩუქარს იპოვის. სააბაზანოს მიმართულებით საუბრობს)
ეს რა არის? ეს თინამ დატოვა? რა გულისხმიერებაა, არა მართლა ძალიან გულისხმიერი გოგონაა, რა ამაღელვებელია. იცი რა არის?
(ხანმოკლე პაუზა)
ანდი? ანდი არ არის? სად არის? მხოლოდ ერთი ყუთი მოაქვს?
(უნდა ის ყუთი გახსნას და ჩაიხედოს შიგნით, მაგრამ გაჩერდება.
საჩუქარს აიღებს და თავის ოთახში შედის, თან საჩუქარს ქაღალდებს აცლის. უცბად კარში, ცოტა არ იყოს გაკვირვებული, გაჩერდება).

15.2

(დაახლოებით 25 წუთის წინ. ბინის კარი დაიკეტება და შემდეგ ისევ გაიხსნება. კლაუდია მიდის. ფრანკი და

რომი ფოგტლუნდერი მარტონი არიან.
ხანმოკლე პაუზა.)

ფრანკი: ახლა რა ვქნათ?
(ხანმოკლე პაუზა.)

რომი ფ: ახლა ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ სანამ უკან დაბრუნდება, რომ ბოლოს და ბოლოს მარტონი დავრჩეთ.

ფრანკი: მარტონი?

რომი ფ: შენ როგორ გინდა – თუ გინდა ახლავე შეგვიძლია წავიდეთ, სანამ უკან დაბრუნდება –
(ხანმოკლე პაუზა)
კარგი – წავიდეთ –
(ის კართან მიდის და ჩერდება)

ფრანკი: არა –

რომი ფ: რა არა –
(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: არ მინდა, უკან რომ დაბრუნდება, შენ კიდევ აქ იყო.
(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: გინდა რომ წავიდე?

ფრანკი: ჰო.
(ხანმოკლე პაუზა)
მინდა რომ წახვიდე. თანაც ახლავე.
(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: მე მისთვის საჩუქარი მაქვს –

ფრანკი: ვისთვის –

რომი ფ: შენი ცოლისთვის –

ფრანკი: ის ამ საჩუქარს ზედაც არ შეხედავს.

რომი ფ: ვითომ –

ფრანკი: ასე რომ –
(ხანმოკლე პაუზა)
აიღე შენი საჩუქარი და წადი –

რომი ფ: არ მჯერა.

ფრანკი: რა –

რომი ფ: ის, რომ შენ მართლა გინდა წავიდე. და შენ აქ დარჩენა გსურს. არ მჯერა.
(ხანმოკლე პაუზა)
ვერ გამიშვებ. შენ თვითონ არ შემიყვანე ოთახში? შენ

თვითონ არ შემიხვიე თავი?

ფრანკი: გუშინ საღამოს – მაშინ სისხლი გდიოდა და დახმარება გჭირდებოდა.

(ხანმოკლე პაუზა)

ახლა უკეთ ხარ.

(ხანმოკლე პაუზა)

მოულოდნელად ისევ აქ ხარ. რატომ? რა გინდა?

რომი ფ: შენთან ერთად მინდა ყოფნა, სხვა რა უნდა მინდოდეს –

ფრანკი: ჰო, მაგრამ, ხომ ხედავ რა სიტუაციაა.

რომი ფ: რა თქმა უნდა, ვხედავ.

ფრანკი: მაშინ –

(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: შენ მე გიყვარვარ.

ფრანკი: რატომ გგონია?

რომი ფ: იმიტომ, რომ ასეა.

შენმა ცოლმა ეს-ესაა მიგატოვა. როგორც იქნა თავი დაგვანება. ოც წუთში უკან დაბრუნდება და აქ რომ მნახავს, სამუდამოდ გაქრება.

(ხანმოკლე პაუზა)

ასე იქნება დამიჯერე.

ფრანკი: არა, ასე არ იქნება.

რომი ფ: რატომ –

ფრანკი: იმიტომ, რომ ჩვენ ცხრამეტია წელია ცოლ-ქმარი ვართ.

15.3

(რამდენიმე წუთის შემდეგ)

ფრანკი: კარგი მაშინ – წავედით.

(ის თავის ქურთუკს ეძებს)

წავედით. შენ მართალი ხარ.

(ხანმოკლე პაუზა)

ასე თუ ისე აქ ბევრი აღარაფერი დარჩა – ბევრი არაფერი დარჩა.

რომი ფ: შენი ცოლი –

ფრანკი: ჩემი ცოლი წავიდა – და მიხვდება, რომ ყველაფერი

დამთავრდა. ასე მარტივად.
(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: მერე შენი ვაჟი –
ეს არ არის საკმარისი, მარტო შენი ცოლი დათმო. ეს თქვენს ვაჟსაც ეხება.

15.4

(რამდენიმე წუთით ადრე)

ფრანკი: რატომ გგონია?

რომი ფ: იმიტომ, რომ ასეა.
შენმა ცოლმა ეს-ესაა მიგატოვა. როგორც იქნა თავი დაგვანება. ოც წუთში უკან დაბრუნდება და აქ რომ მნახავს, სამუდამოდ გაქრება.
(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: არა, ასე არ იქნება

რომი ფ: რატომ –

ფრანკი: იმიტომ, რომ ჩვენ ცხრამეტია წელია ცოლ-ქმარი ვართ.

რომი ფ: ჰო, ეს ცხრამეტი წლის ცოლ-ქმრობა – რომელსაც მე ვერ ვამჩნევ.

ფრანკი: ეს ცხრამეტი წელი ამ წუთში უფრო მეტს იტევს, ვიდრე სავსე კონტეინერი!
(ხანმოკლე პაუზა)
სამოცდაათი ყუთი!

რომი ფ: მერედა სადაა კონტეინერი?

ფრანკი: უკვე წავიდა! დანარჩენიც გაყვება –

რომი ფ: ასე რომ –
(ხანმოკლე პაუზა)
რას ფიქრობ? ან გიფიქრია რას ვაკეთებდი მთელი ამ დროის განმავლობაში? ბოლო ოცდაოთხი წლის განმავლობაში? კაცები – არა ერთი, ბევრი ერთმანეთის მიყოლებით, პროფესიებისდა მიხედვით, ასისტენტები, ექიმები, ადვოკატები, მხატვრები, რის შესახებ მოგიყვე, ბინების თუ მანქანების? თუ შვებულებების? იქნებ შეწყვეტილი ურთიერთობების შესახებ? ნეტავ რას ფიქრობ, როგორ ვცხოვრობდი ბოლო ოცდაოთხი

წელი? იშვიათად ვიყავი მარტო, მაგრამ ყოველთვის გელოდებოდი –
იმიტომ რომ არცერთი, არცერთი იყო ისეთი, როგორიც შენ მაშინ, არცერთი თავისუფლდებოდა იმ ჩარჩოებიდან, რაშიც ცხოვრობდა – იქ კი არაფერი იყო, არანაირი თავისუფლება, არაფერი, მხოლოდ დაგეგმილი წლები, პროგრამები, პროექტები. ახლა არ მითხრა, რომ შენც, შენც ზუსტად ასეთი ხარ.
(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: კარგი მაშინ – წავედით.
(ის თავის ქურთუკს ეძებს)
წავედით. შენ მართალი ხარ.
(ხანმოკლე პაუზა)
ასე თუ ისე აქ ბევრი აღარაფერი დარჩა – ბევრი არაფერი დარჩა.

რომი ფ: შენი ცოლი –

ფრანკი: ჩემი ცოლი წავიდა – და მიხვდება, რომ ყველაფერი დამთავრდა. ასე მარტივად.
(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: მერე შენი ვაჟი –
ეს არ არის საკმარისი, მარტო შენი ცოლი დათმო. ეს თქვენს ვაჟსაც ეხება.
(ხანმოკლე პაუზა. ფრანკი გაურკვეველ მდგომარეობაშია.)

ფრანკი: როგორ უნდა დავთმო შვილი?
(რომი მხრებს იჩეჩავს)
მე ვგულისხმობ: თუ მე აქედან წავალ, ჩემი ბიჭი მაინც მუდამ იქნება. ის ყოველთვის იარსებებს – ისე როგორც გასული ოცდაოთხი წელი არსებობდა – მთელი ამ დროის განმავლობაში შენ გარეშე.

რომი ფ: არა, მე მინდა ეს მოვისმინო, მინდა –
(ხანმოკლე პაუზა)
წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ბედნიერები არ ვიქნებით –

ფრანკი: რა? რა გინდა მოისმინო? შენ გინდოდა, რომ შენთან ერთად წამოვსულიყავი, მე მზად ვარ, კიდევ რა გინდა?

რომი ფ: შენ ეს უნდა თქვა –

(ხანმოკლე პაუზა)
უნდა თქვა, რომ ეს წლები არ არსებობდა.

ფრანკი: არა

რომი ფ: არა?
(ხანმოკლე პაუზა)
მაშინ მე წავალ –
(ის კართან მიდის)

ფრანკი: ისინი არსებობდა, ჩვენ ვიცხოვრეთ – სხვა რა უნდა ვთქვა –

რომი ფ: მაშინ ის მაინც თქვი, რომ ჯობდა ეს წლები საერთოდ არ ყოფილიყო: არც ცოლი ყოფილიყო, არც ქორწინება და არც შვილი.

ფრანკი: არა, არ შემიძლია

რომი ფ: უნდა შეძლო.

ფრანკი: რატომ –

რომი ფ: სხვანაირად არ გამოვა –
(პაუზა. ღამეა. ის კართან მიდის, სახელურს გამოაძრობს და გადის)

ფრანკი: ჰო! შესაძლებელია –
ნამდვილად შესაძლებელია, რომ –
(რომი ბრუნდება)

რომი ფ: რა –

ფრანკი: რომ უკეთესი იქნებოდა –

რომი ფ: რა –

ფრანკი: ის, რომ არც ცოლი მყოლოდა და არც შვილი. შესაძლებელია, დიახ, ნამდვილად შესაძლებელია – დაბრუნდი –
(რომი ბრუნდება და ფრანკს კოცნის. ისინი ერთმანეთს დიდხანს კოცნიან)

რომი ფ: ახლა იმღერე –
ის სიმღერა.
(პაუზა)

ფრანკი: არ შემიძლია.
(ხანმოკლე პაუზა)
(იცინის) ტექსტი კი არა მელოდიაც დამავიწყდა –

რომი ფ: შენ ეს სიმღერა დაგავიწყდა?

ფრანკი: არა – მე – უბრალოდ აღარ ვიცი როგორ იწყება –

რომი ფ: *(მღერის ლენონის/მაკკარტნის „I will“)*
Who knows how long I've loved you
You know I love you still
Will I wait a lonely lifetime
If you want me to – I will.

For if I ever saw you
I didn't catch youch name
But it never really mattered
I will always feel the same.

Love you forever and forever
Love with all my heart
Love you whenever we-re together
Love you when we-re apart.

And when at last I find you
Your song will fill the air
Sing it loud so I can hear you
Make it easy to be near you
For the things you do endear you to mr
You know I will
I will.
ახლა გაგახსენდა?

ფრანკი: კი –

რომი ფ: კიდევ რა გახსენდება?

ფრანკი: ყველაფერი –

რომი ფ: მაინც რა –

ფრანკი: შენ – ჩვენ –

რომი ფ: რაა –

ფრანკი: შენი ოთახი. სკოლა. შენი მშობლები.
(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: რა ერქვა იმ პარკს – გახსენდება პარკი?

ფრანკი: პარკი – არც კი ვიცი, რამე სახელი ერქვა?

რომი ფ: მზის ამოსვლა კი ნამდვილად გემახსოვრება არა?
(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: მზე აღმოსავლეთისაკენ გორაკებს უკან იმალებოდა,

თანდათან ნათდებოდა და ჩიტები ნელ-ნელა ბნელ ხეებში სტვენას იწყებდნენ. ჩვენ უკან ტყე მთავრდებოდა. ტყის კედელი იყო. გზად არავინ ჩანდა. მხოლოდ ჩვენ. უძილონი და შეყვარებულნი. ზაფხულობით ხშირად ვიყავით იქ. და არასდროს გვციოდა.

რომი ფ: მე იმ მზის ამოსვლას ვგულისხმობ, საჩუქარი რომ გაგიკეთე –

ფრანკი: საჩუქარი –

(წარმოდგენა არ აქვს, რომი რას გულისხმობს.)

რომი ფ: ჰო, საჩუქარი – არ გახსენდება?

ფრანკი: როგორ არა –

(ხანმოკლე პაუზა)

რომი ფ: შენ წარმოდგენაც კი არ გაქვს. წარმოდგენაც კი არ გაქვს, რაზე გესაუბრები.

(ხანმოკლე პაუზა)

არა შენ საჩუქარი არ გახსენდება.

(ხანმოკლე პაუზა)

ფრანკი: რომელი საჩუქარი – მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა!

(ხანმოკლე პაუზა)

უცბად ყველაფერს ვერ ვიხსენებ.

რომი ფ: ეს იმას ნიშნავს, რომ შენ არ მომყვები.

(ხანმოკლე პაუზა)

ეს შენ თვითონ თქვი: შენ ჩემთან ერთად მოდიხარ.

(ხანმოკლე პაუზა)

არადა არ შეგიძლია.

(ხანმოკლე პაუზა)

რამის გახსენებაც კი არ შეგიძლია!

ფრანკი: რა – რა უნდა გითხრა – არ ვიცი რა მაჩუქე.

რომი ფ: მაშინ მე ახლა მარტო წავალ აქედან და შენ კი არაფერთან ერთად მარტო დარჩები.

(რომი ფოგტლენდერი მიდის.)

16.

(კაცი მარტოა შემოსასვლელში. გაუნძრევლად დგას. შემდეგ პერანგზე ღილს შეიხსნის და აბაზანისკენ გაემართება. ვილაც ჩახერგილ კარზე აკაკუნებს. არავინ ჩანს. კაკუნი მეორდება. არავინ ჩანს.)

თინა: გამარჯობათ?
(პასუხს არავინ სცემს. ფრანკი გაშეშებული დგას ფანჯარასთან.)
გამარჯობათ?
(პაუზა)

ფრანკი: კარი ღიაა.
(თინა ფრთხილად და ყოყმანით შემოდის სახლში. თინა და ფრანკი ერთმანეთის პირისპირ დგანან.)

თინა –
(ხანმოკლე პაუზა)
(თინა გაკვირვებულია, რომ იქ ფრანკის გარდა არავინაა)

თინა: თუ შეიძლება, ანდი მინდოდა მენახა.

ფრანკი: ანდი?
(ხანმოკლე პაუზა)
ის აქ არ არის.

თინა: არა – აქ არ არის?

ფრანკი: არა – არ არის – მე ვფიქრობდი, რომ შენთან იყო, არა?

თინა: არა –
(ხანმოკლე პაუზა)
ის აქ უნდა იყოს –

ფრანკი: არა, გეუბნები, აქ არ არის –

თინა: ის აქ უნდა იყოს – სხვაგან ვერ იქნება –

ფრანკი: ამას რატომ ამბობ –

თინა: მე თვითონ დავინახე სახლში როგორ შემოვიდა –

ფრანკი: როდის?

თინა: გუშინ ღამით –

ფრანკი: გუშინ ღამით ის აქ არ ყოფილა –

თინა: როგორ არა, ის იყო – მე თვითონ დავინახე – და გარდა ამისა:
(ხანმოკლე პაუზა)
ეს მისი ნიშანია! ის აქ იყო.

ფრანკი: კარგი –
(ხანმოკლე პაუზა)
შეიძლება მცირე დროით შემოირბინა და მერე ისევ წავიდა.

თინა: შეუძლებელია.

ფრანკი: რატომ?

თინა: იმიტომ, რომ მე მას გარეთ, სახლის წინ ველოდებოდი.

ფრანკი: დიდხანს?

თინა: გუშინ ღამიდან, დაახლოებით ოთხის ნახევარი იქნებოდა.

(ფრანკი მას გაკვირვებული შეხედავს)

ფრანკი: ღამის ოთხის ნახევრიდან?

თინა: დიახ – მას შემდეგ რაც ის სახლში შემოვიდა.

ფრანკი: შენ გუშინ ღამის ოთხის ნახევრიდან ამ დრომდე სახლის წინ იცდი?

თინა: *(ცრემლმორეული)* ჰო – მაგრამ ის უკან აღარ გამოსულა.

(პაუზა)

ფრანკი: მისი ოთახი ცარიელია. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ აქ არ არის.

(თინა ცარიელ ოთახში შეიხედავს.)

თინა: *(ტირილით გარბის)* ის აქ, აქ უნდა იყოს.

(ფრანკი კვლავ შემოსასვლელში დგას. შემდეგ რბილ გორგოლას იღებს ხელში, რომელიც საღებავის ყუთზე დევს, მაგრამ გადაიფიქრებს და კედელზე ანდის მიერ დაჯღაბნილ ნიშანს გადაღებავს, გორგოლას გვერდზე გადადებს, პერანგს გაიხდის, აბაზანაში შედის და კარს ჩაკეტავს.)

17.

(კლაუდია სახლში შემოდის. შემოსასვლელი ცარიელია. სააბაზანოდან ხმაური ისმის. ის კართან დგება და ყურს მიუგდებს. ოთახებში შედის და ეძებს. იქ არავინაა. კლაუდია უკან ბრუნდება, სააბაზანო ოთახის კართან დადგება და ყურს მიუგდებს.)

კლაუდია: როგორც იქნა –

(ხანმოკლე პაუზა)

როგორც იქნა წაბრძანდა!

(ხანმოკლე პაუზა. კლაუდია გახარებულია)

შენგან ამას არც კი მოველოდი.

თითქმის – არ მოველოდი

(ის ლია კართან მიდის და ცდილობს დაკეტოს. კარი ჯიუ-

ტობს, კლაუდია უხეშობს და ბოლოს ისე მიაჯახუნებს, რომ კარი მართლაც დაიკეტება.)
კარი შევაკეთე.
(ხმადაბლა) ამის კარგიც ...
(აბაზანის კართან) შეიძლება შემოვიდე?
(კარი ჩაკეტილია.)
თითქმის არ მოველოდი შენგან.
(ხანმოკლე პაუზა)
შხაპს იღებ?
(ცოტა ამაყად) ცხრამეტი წლის უღელი კარგად ეკვრის ტანს. ადვილად ვერ მოიცილებ – ამას ვერ მოახერხებ – ის წლები უკეთ ეწებება, ვიდრე ერთი ზაფხული.
(ხანმოკლე პაუზა)
თინა გამოვიდა ახლა სახლიდან? თითქოს ვიღაც დავინახე –
(ის საჩუქარს იპოვის, სააბაზანოს მიმართულებით საუბრობს)
ეს რა არის? ეს თინამ დატოვა? რა გულისხმიერებაა, არა მართლა ძალიან გულისხმიერი გოგონაა – რა ამაღელვებელია. იცი რა არის?
(ხანმოკლე პაუზა)
ანდი? ანდი არ არის? სად არის? მხოლოდ ერთი ყუთი მოაქვს?

უნდა ის ყუთი გახსნას და ჩაიხედოს შიგნით, მაგრამ გაჩერდება. საჩუქარს აიღებს და თავის ოთახში შედის. თან საჩუქარს ქაღალდებს აცლის. უცბად კარში, ცოტა არ იყოს გაკვირვებული გაჩერდება და საჩუქარს ათვალიერებს – როგორც ჩანს ის ცელოფნის პარკია, ეიფელის კოშკი რომ ახატია – თან უკან სააბაზანოსკენ იხედება. კლაუდია თავის ოთახში შედის. ცოტა ხნის შემდეგ შემაძრწუნებელი ყვირილის ხმა გაისმის.

18.

თინა: არა, ვერ წავალ – აქედან ვერ წავალ.
(ხანმოკლე პაუზა)
აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, წესით აქ ანდი უნდა იყოს

და არ არის. სად უნდა წასულიყო? ის აქ უნდა იყოს და არ არის. შეშფოთებული წინ და უკან დავრბივარ, ფერდობზე ვიცდი, იქ სადაც ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით, იქ სადაც ჩვენ –

(ხანმოკლე პაუზა)

საიდანაც ჩვენ ქვებს ვისროდით, აქ მარტო ვარ, ქვების სროლაც კი დავიწყე, ისე უბრალოდ ვისვრი, რადგან არც არავინ მოდის და არც არავინ მიდის, მხოლოდ ანდის დედა შევიდა სახლში, შემდეგ ისევ აქეთ-იქეთ სირბილი დავიწყე, წინ და უკან, აქეთ, იქეთ, შემდეგ სახლს შემოვურბინე, სახლის უკან შევჩერდი, აქედან ანდის მშობლების საწოლი ოთახი მოჩანს, იქ კედლის კარადა და დიდი საწოლი ჩანს, უცბად კლაუდია წაიბორძიკებს, ანდის დედა, ოთახში, გაკვირვებული ან სულაც დაბნეული, ხელში რაღაც პარკი უჭირავს, რომელიც მეცნობა, თითქოს სადღაც მინახავს.

(ხანმოკლე პაუზა)

კლაუდია ცოტა ხანი კარში შეყოვნდება, ჭოჭმანობს, შემდეგ ოთახში შედის, ხელში პარკი უკავია და რაღაც ვერ გაუგია, მხოლოდ ამას ვხედავ. ის პარკში ხელს ჩაყოფს, რომელიც აქედან ცარიელი ჩანს და იმ წუთში, როცა კი მან ხელი ჩაყო, ყოველი შემთხვევისთვის ფანჯრიდან ასე ჩანს, მის თითებს, მის ხელებს, მკლავებს ცეცხლი მოედო. შემდეგ ეს ქალი თავის საწოლ ოთახში მთლიანად ცეცხლის ალში გაეხვია. ის იწვოდა, მისი სხეული იწვოდა, ის ისე სწრაფად და საშინლად იწვოდა – რომ ყვირილიც კი ვერ მოახერხა, დახურულ ფანჯრებში მე არაფერი მესმის, მაგრამ ვხედავ რომ კვამლით გამოტენილი პირი დაუღია, ყვირილით, არა ყვირილით ვერ ყვირის – მე ვყვირი, მე ვყვირი რაც შემიძლია, მაგრამ ვინ უნდა გაიგონოს ჩემი ხმა – შემდეგ ანდის მამა გამოჩნდება კარში, ის ხედავს თავის ცოლს, რომელიც იწვის და ხელში გამღვალი პარკის ნარჩენებიღა შერჩენია, და ის იქვე გაშეშდება, შემდეგ კარიდან გადის. მე გავრბივარ. სატვირთო მანქანა ქუჩას ქვევით ჩამოუყვა და სახლის წინ გაჩერდა. სად არის ანდი –

19.

(ერთი წუთით ადრე)

ფრანკი სააბაზანო ოთახიდან გამოდის, თეძოებზე პირსახოცი შემოუხვევია, ისე შიშველია და ოდნავ სველიც. შემოსასვლელში ფეხს აუჩქარებს, ძირს დაგდებულ პატარა სათამაშო ავტომობილს ფეხს დააბიჯებს და ნაიქცევა. ფრანკი წამოდგება და საშინელ ტკივილს იგრძნობს, ახლა პატარა პლასტმასის ინდიელი შეერჭობა. ფრანკი სკეპტიკურად აიღებს ინდიელს. შემდეგ იატაკზე დაიხედავს, აქეთ-იქეთ გაბნეულ სათამაშოებს დაინახავს, ძირითადად ანდის ყუთთან. იგი ყველაფერს მოაგროვებს, რასაც კი იპოვის და ცდილობს საჩქაროდ ანდის ყუთში ჩაყაროს. ფრანკი ყუთს გახსნის (და იქ თავისი შვილის გვამს იპოვის). თავზარდაცემული გაშეშდება. რაც შეაგროვა, ყველაფერი ხელიდან უცვივა. მას სურს თავისი ცოლის საწოლ ოთახში შევიდეს, მაგრამ წაიქცევა, ფეხს ერთ-ერთ იმ პატარა მანქანას დაადგამს, რომელიც ეს-ესაა შოკში მყოფს ხელიდან გაუვარდა.

ცდილობს ადგეს, მაგრამ კვლავ ეცემა, ალბათ მუხლის იოგი გაუწყდა ან რაღაც მსგავსი.

ხან კოჭლობით, ხან ხოხვით ცდილობს საწოლ ოთახამდე მიაღწიოს, აღებს ოთახის კარს და ერთი წუთით კარში გაშეშდება – ის თავის ცეცხლმოკიდებულ ცოლს დაინახავს – ახლა საითღა?

სრულიად თავზარდაცემული ცდილობს კარებამდე მიაღწიოს. დიდი გაჭირვებით, სირბილით, კოჭლობით, ხტუნვით, ხოხვით მიდის კარამდე. ჩამოწევს სახელურს, კარი არ გაიღება. ის გაოგნებულია. ისევ ჩამოსწევს სახელურს. კარი ისე გაიჭედა, რომ აღარ იხსნება. ზარია. ის ფეხზე ვეღარ დგება. ორივე მუხლი დამტვრეული აქვს. კვლავ ზარია. მას კარის გაღება არ შეუძლია და ვერც ზარის მოპასუხემდე მიდის.

დასასრული

თარგმანი: მაია ფალავანდიშვილი